

1940 / 2

პიონერები

საქართველოს
ბავშვთა გაზეთი



1940

№3

გამათხურომ თაიგული



რა სუნი აქვს, რა სილამაზე, რა უცხო ფარა,
თითქოს მოსულა, რომ დაგვატყვის თვისი სურნელით!
გადაუშლია ლურჯი კაბა ლურჯთვალა იას
და დაჟარჟატებს მას ღიმილი მორცხვი, სურნელი.

ოხ, იმნიერი სილამაზე, მშვენიერება
და სიკეკლუცე ასე ნაზი არნახულია,
ბუნებაც ხარობს, მზეც ქვეყანას ეალერსება,
რომ მოგვახაროს: „გაზაფხული... გაზაფხული!“

ლამაზ ყვავილებს რომ ვუყურებთ, ვხარობთ ყველანი
და სიხარულით გვიტოკდება ნორჩი გულია,
მინდვრიად გავედით, ყვავილები ყველამ დაგკრიფეთ,
იით, ენძელით დაემშვენეთ თაიგულია.

ზურმუხტის ფერად აყვავებულა ველი, მინდორი,
მწვანედ ბიბინებს ყვავილებით მდგლო მორთული,
გულმკერდს იმშვენებს, ილიამაზებს ნაზი ბუნება
და გაზაფხულის სილამაზით ჩვენც ვართ ვართული.

ნაზიკო კილახონია.

თბილისის მე-25 სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე





3742

პიუჩესაჲ მიხეილის - ქე მოლოჯოჲი.

ამ წლის ცხრა მარტს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს, ხალხთა საამაყო ბელადის, დიდი სტალინის, უახლოეს თანამებრძოლს, ანხ. ვიჩესლავ მიხეილის-ქე მოლოტოვს.

ნახევარი საუკუნის წინათ დაიბადა იგი ვიატკის გუბერნიის გარეუბან კუკარკეში, მოსამსახურის ოჯახში.

1902 წელს თორმეტი წლის ვიჩესლავი ყაზანის პირველ რეალურ სასწავლებელში შევიდა. აქ იგი მალე მიემხრო რევოლუციურ მოძრაობას, ჩაება რევოლუციურ წრეებსა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ მუშაობაში.

1906 წელს ვიჩესლავ სკრიაბინი (სკრიაბინი ანხ. მოლოტოვის გვარია) შევიდა ქალაქ ყაზანის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. იგი გახდა მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურად განწყობილი ნაწილის ერთერთი მთავარი ორგანიზატორი. მოსწავლეების რევოლუციურმა ორგანიზაციამ შექმნა თავისი საერთო-საქალაქო ხელმძღვანელი ცენტრი. ამ ცენტრში ახალგაზრდა ვიჩესლავ სკრიაბინიც შევიდა.

1909 წლის აპრილში, მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაციის მთელ რიგ სხვა წევრებთან ერთად, დააპატიმრეს ამხანაგი მოლოტოვი. იმავე წლის ივნისში იგი ორი წლით გადასახლეს ჯერ ტუმასა და სოლვიჩეგოდსკში, ხოლო შემდეგ კი ვოლოგდაში. აქ ვიჩესლავ სკრიაბინმა ჩააბარა დამოსაშვები გამოცდა რეალურ სასწავლებელში. ვოლოგდაშივე ამხანაგმა მოლოტოვმა შექმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მტკიცედ იბრძოდა მენშევიკებისა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ, ურყევლად ატარებდა ლენინურ ხაზს.

1911 წელს მოლოტოვმა დაამთავრა გადასახლების ვადა, ჩავიდა პეტერბურგს და იქ შევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ქალაქში მან დიდი მუშაობა გააჩაღა სტუდენტთა შორის ბოლშევიკური ჯგუფების დასარაზმავად, ბოლშევიკური ორგანიზაციების გასაძლიერებლად.

შემდეგი წლის დისაწყისს ამხანაგმა მოლოტოვმა მუშაობა დაიწყო ბოლშევიკურ გაზეთ „ზევდაში“. მალე მან უახლოესი მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთის „პრავდის“ შექმნაში.

იგი იყო „პრავდის“ მდივანი, ვაჭეთის ერთერთი ხელმძღვანელი, მრავალ სტატიას ბეჭდავდა ამ ბოლშევიკურ გაზეთში.

1913 წლის აპრილში ამხანაგი მოლოტოვი დააპატიმრეს და რამდენიმე თვის შემდეგ გადასახლეს პეტერბურგიდან, აუკრძალეს რა დიდ ქალაქებსა და სამრეწველო გუბერნიებში ცხოვრება. იგი დასახლდა პეტერბურგის მახლობლად, სადაც მალე დააპატიმრეს ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის, მაგრამ საკმაო მამბოლბელი საბუთების უქონლობის გამო გაათავისუფლეს პოლიციის მეთვალყურეობით.

1914 წლის მაისში ამხანაგი მოლოტოვი კვლავ დააპატიმრეს და მალე გადასახლეს დედაქალაქიდან, აუკრძალეს რა იქ და სხვა მრავალ ქალაქსა და გუბერნიასში ცხოვრება.

მსოფლიო ომის დასაწყისს ვიანესლავ მოლოტოვი პეტერბურგშია, საიდანაც მალე გადადის მოსკოვს. აქ იგი დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწევა, თავს უყრის ბოლშევიკთა დეკასქუსლ ძალებს და აწყობს პარტიული რიგების გაწმენდას პროვოკატორ-გაშუშებისაგან.

1915 წლის ივნისში, პროვოკატორთა დაბეზღებით, დააპატიმრეს მოლოტოვი და იმავე წლის სექტემბერში, საეტაპო წესით, სამი წლით გადასახლეს ირკუტსკის გუბერნიის სოფელ მანზურკაში.

მეორე წლის მაისში იგი გამოიქცა გადასახლებიდან, ჩავიდა პეტერბურგს და შეუდგა პარტიულ მუშაობას. 1916 წლის შემოდგომაზე ამხანაგი მოლოტოვი ბოლშევიკური პარტიის საზღვარგარეთ მყოფი ცენტრალური კომიტეტის მითითებით, კომპატირებულ იქნა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროში და სათავეში ჩაუდგა ამ ბიუროს. ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ამხანაგ მოლოტოვის მეთაურობით, ახორციელებს ბოლშევიკური პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობას.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს და შემდეგ, ამხანაგი მოლოტოვი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრი. როგორც ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი, იგი შევიდა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჯარისკაცთა სექციის შექმნაში, პეტროგრადის საბჭოს გარდაქმნაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდ, მონაწილეობას

იღებდა საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის მუშაობაში.

ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში მონაწილეობდა ამ რევოლუციის დღეებში ამხანაგი მოლოტოვი ერთერთი ხელმძღვანელი იყო იმ ბოლშევიკებისა, რომლებიც ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ პეტროგრადში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხანაგი მოლოტოვი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა ერთერთი ხელმძღვანელი იყო.

1918 წლის დასაწყისიდან მოლოტოვი მუშაობდა ჩრდილოეთის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ, 1919 წლის ზაფხულიდან პარტიისა და მთავრობის რწმუნებულად ვოლგისპირა მხარეში, ხოლო იმავე წლის დაბდვიდან ნიენბურგოროდის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარედ.

1920 წელს მას პარტიის დონეცის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად ირჩევენ, ხოლო სულ მალე, იმავე წელს—უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად და მდივნად.

პარტიის მეათე ყრილობაზე, 1921 წელს, ამხანაგ მოლოტოვს ირჩევენ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

1926 წ. იანვრიდან მოლოტოვი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია. 1928 წელს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობასთან შეთავსებით იგი არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნად.

1930 წლის ცხრამეტე დეკემბრიდან ამხანაგი მოლოტოვი მუშაობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1939 წელს შეთავსებით ინიშნება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

ამხანაგი ვიანესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, დიდი სტალინის ეს საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, ყველა თანამდებობაზე მისთვის ჩვეული ენერჯითა და თავდადებით მუშაობს. მთელ თავის ძალღონეს იგი ხალობს კეთილდღეობისათვის ბრძოლას ახმარს, ლენინ—სტალინის საქმეს ახმარს. ამიტომ მთელ საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი საამაყო შვილი. მზურგალე სალაშს უძღვინს მას მთელი ხალხი მისი დაბადების ორმოცდაათი წლის თავზე და უსურვებს მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.



თავდადება

(ნამდვილი ამბავი: სამოქალაქო ომიდან)



ამანის არმია ნოეოროსიისკს ტოვებდა. ქალაქში თეთრების არმია შემოდის. წითელარმიელები ჯგუფ-ჯგუფად ბრძოლით იხვედნენ.

ტამანელთა უკანასკნელმა რაზმმა ერთხანს შეაჩერა თეთრების მოწინავე რაზმი. ამ ხნის განმავლობაში წითელარმიელები გაფაციცებით ცლიდნენ საავადმყოფოებს და ფურგონებით ავზავინდნენ დაჭრილებს უკანდახეული არმიის ადლაში. თეთრებს ჩვეულებად ჰქონდათ, პირველ ყოვლისა საავადმყოფოებს დაეცემოდნენ. დაჭრილებს ქუჩაში ჰყრიდნენ და ჰკლავდნენ. ამიტომ საჭირო იყო საავადმყოფოების ევაკუაცია. მაგრამ ტამანელებმა ყველა საავადმყოფოს ევაკუაცია ვერ მოასწრეს. რეიდზე ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ფლოტი ვაჩნდა თეთრების დასახმარებლად და ტამანელების არიერგარდმაც ბრძოლით დაიხია.

გარეუბნის რაიკომის მთელი შემადგენლობა უკანასკნელად გამოვიდა ბრძოლის ხაზიდან. ზოგი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე, ზოგი-მიმედ დაჭრილი, ადლაში გავზავნეს. მსუბუქად დაჭრილები ნაბიჯნაბიჯ იხვედნენ და იბრძოდნენ.

მარიას, რაიკომის ტექნიკურ მდივანს, რაიკომის საქმეების წამოღება დაავალეს. მარია უკანასკნელ ფურგონს უნდა გაჰყოლოდა.

მარიამ გადაარჩია საქმეები. ზოგი დაწვა, ზოგი შეკრა და ფურგონზე დააღება. ერთხელ კიდევ აიბრძინა რაიკომში—ხომ არა დამეციწყდა რაო.

მიმოიხედა. კედელზე უბრაოდ ეკიდა კალენდარი. ზედ კალენდარზე კედლის საათი ბუტბუტებდა დინჯად, წყნარად, თითქოს აქ არა მომხდარა რაო. ფანჯრის პირდაპირ ლენინის სურათი ეკიდა. ლენინი ოდნავ მოკუტული თვალით გაჰყურებდა შავი ზღვის ნაპირს, თითქოს თვალს ადევნებს ტამანის არმიას, გაასწრებს თუ არა სამშვიდობოსო. ინტერვენტების ფლოტისაგან არმიას მთების ქედი იფარავდა. ალბათ, ლენინსაც ამიტომ თუ ჰქონდა კარგი ღიმილი ტუჩის კუთხეში.

კუთხეში ორი შაშხანა იყო მიყუდებული. იქვე რამდენიმე მჭიდვ ელაგა და ვაზნები.

— შაშხანები დამეციწყებია, — გაიფიქრა მარიამ და ხელი დასტაცა შაშხანებს.

უცებ კიბეზე აჩქარებელი ნაბიჯები მოისმა. ვიღაცა მეზღვაური შემოვარდა, უკან მოსდევდა მეფურგონე წითელარმიელი.

— ვინ არის აქ რაიკომში? — ბოხი ხმით იკითხა მეზღვაურმა.

— რაიკომი ბრძოლის ხაზზეა... თქვენ რა გინდათ, ამხანაგო?

— რა მინდა და ასი ეშმაკი და დოზანა, — დაიგუგუნა მეზღვაურმა. — უნდა დავციტოთ თქვენი ფურგონი. თექვსმეტი დაჭრილი წევს გარეუბნის საავადმყოფოში, აი ეგერ!

მეზღვაურმა ხელი გაიშვირა თეთრი, მალალი შენობისაკენ, რომელიც ფანჯარაში კარგად მოჩანდა. საავადმყოფოზე ჯერ კიდევ ფრიალებდა წითელი დროშა.

მარია მიუბრუნდა წითელარმიელს და უთხრა: — წიყავნეთ ფურგონი. მე დავეწყვიტო.

უცებ ზღვიდან საშინელი გრიალი მოისმა. გრიალი გაასკეცებული ხმაურით განმეორდა მთის კალთებზე. ინტერვენტებმა დაუშინეს ტამანელებს.

— ასი ეშმაკი და დოზანა! — ისევ დაიგუგუნა მეზღვაურმა. — ეს სალახანები რომ არ ეხმარებოდნენ იმათ...

მეზღვაური და წითელარმიელი საჩქაროდ გაბრუნდნენ.

მარია კარებში დაეწია მათ და მიაძახა:

— მოასწრებთ?

— ათ წუთში ქალაქს გავცდებით. ყველანი მზად არიან, — უპასუხა მეზღვაურმა.

მარია დაბრუნდა, ერთი შაშხანა მხარზე მოიგდო. მეორე ხელში დაიჭირა, ვაზნები ჯიბეებში ჩაიყარა.



უცხად ტელეფონი აწყობილდა და მარია მივიარდა ტელეფონს.

— ალო, რაიკომი... ტენზიდვანი... რაო? რაიკომის მდივანი დაქრეს? სადაა? საავადმყოფოსთან? მოდის... გასოვავაზენე ფურგონი... მიმედლა? ოხ! მითხარით...

მაგრამ ტელეფონი ახრიალდა და დაღმდდა. მარია ერთხანს გაშტერებულივით იღვა. მის წარმოუდგა რაიკომის მდივანი, ჰალარა, ჰკვიანი, გულმართალი და მამასავით საყვარელი კაცი. ცრემლები დაედინა და ხალათის ჯიბეში ჩაჩრილ ვაზნებს დაეწვეთა.

სადაც ახლოს ტყვიამფრქვევი აკაცანდა. მარია გამოიკრევა. მივიარდა ფანჯარას, დანახა, შორიასლოს მოსახვედში ფურგონმა შეუხვია, ქუსლი დასაწყისში კი თეთრების ესკადრონი გაწყობილა. მარია მათს შეხედა. სრული პირველი საათი იყო.

— ახ, ათი წუთი... ათი წუთი, — ვაფიქრა მარია. — რომ შეიძლებოდეს დროს შეჩერება...

რაფას გადააწვა. საავადმყოფოს კარებს დააკვირდა. აი, მიაღდა ფურგონი. ჩასხდნენ დაჭრილები. ზოგი თვითონ, ზოგიც ხელთ აიკვანეს. ერთი დაკრილი ოთხმა კაცმა დააწვინა. მარია მჭურთუხე იცნო რაიკომის მდივანი.

— მიმილო! — ჩაილაპარაკა მარია. რაიკომის მდივანს ყველა მამილოს ეძახოდა და მარიაც ასე ეძახდა. — მოასწრებ?

ფურგონი დაიძრა. მარია ამოისუნთქა და უნდოდა გაქცევა, მაგრამ თეთრების ესკადრონი ჩორითი გამოექანა. ცხადია, ესკადრონი დაეწვეა ფურგონს. მარია გაქვავდა: რაიკომის მდივანი და თექვსმეტი დაჭრილი დაიღუპებინა.

ყველაფერი დატრიალდა მარიას თვალწინ: საავადმყოფო, ფურგონი, ზღვა, ინტერვენტების ესკადრა, თეთრი ესკადრონი და შორს, მთებისკენ მიმავალი ტამანის არმიის უკანასკნელი რაზმები.

თეთრების ესკადრონის თქარა-თქური სულ უფრო და უფრო ახლოსაა. მარიას უკვე ესმის ცხენების სუნთქვაც. კიდევ დაიგრილა ინტერვენტების ზარბაზნმა და მინები ჯღრილა-ჯღრილით ჩამოცივდა. მარიას გააყრქოლა. მეტი დაყოვნება არ შეიძლებოდა, უნდა გაქცულიყო. ვაგარდა დერეფანში.

დერეფნის ჩაღწილი ფანჯრებში მკაფიოდ დაინახა თეთრების შეთაური. იგი ქურანა ცხენზე იჯდა. ხაკის ფერი ინგლისური ფრენი იცვა. მზრებზე კაპიტნის ოქროცურვებული პალონები ჰქონდა, ხელში შიშველი ხმალი, ეტუპობდა, თავს იწონებდა. მარია მენიშნა ლამაზიც იყო კაპიტანი.

— ვერ მოასწრებენ ჩვენები, — გულისტკივილით გადასწყვიტა მარია: თავისდაუნებურად ფანჯარას გადააწვა, ერთხელ კიდევ შეეხედა, სანამღი მივიდა ფურგონი.

მარია რომ ფანჯარას გადააწვა, ოფიცერმა მოიხედა. ლამაზი ქალი დაინახა. ცხენი ერთი წამით შეაჩერა და ქალს დააკვირდა, უკანა რიგებში ცხენები დაიოკეს.

მარია შეჩერებული ესკადრონი რომ დაინახა, მოისაზრა, ფურგონი გაასწრებს, თეთრები რომ ცოტა ხანს შეჩერდნენო.

ამ ნათელმა აზრმა ძალა შემატა დამსწრეებს.

— შეჩერდით, აქ რაიკომია, ბოლშევიკების რაიკომი...

კაპიტანმა წარბი შეიკრა და შენობა შეათვალიერა. წაიკითხა მსხვილი ასოები: „რაიკომი“.

— სდგე! — გასცა განკარგულება კაპიტანმა. — ალყა შემოარტყით.

ჩამოხტა ცხენიდან და რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით კიბეზე აირბინა.


მარიას გულზე მოეშვა. ვაჭრა ხერხმა. მაგრამ ეს ხერხი რომ ძვირად დაუფლებოდა ისიც ეცოდა, ამიტომ დასახვედრად მოემზადა. შევარდა მდივანის კაბინეტში. მიხურა კარი. ერთი თოფი კედელზე მიაყუდა, მეორე მოიბარჯვა.

ღუბების ქლარუნი სულ უფრო ახლოს ისმოდა. კიბის უკანასკნელმა საფეხურებამაც ვაიკრიალა და ვილაყა კარებს უკან ვაჩერდა. მარია იგრძნო, რომ ოფიცერი რევოლვერს იძრობდა და კარს იქ დაუმიხნა, სადღე კარი უნდა გაღებულიყო. მარიას გაუკვირდა, რომ გული საშინლად უცემდა, ხელი კი არ უკანკალებდა.

უტეხ კარს მაგრად დაარტყეს ქუსლი. კარი გაიღო და იმევე წუთს მარია დასცა თოფი.

— ვაი! — მოასწრო მხოლოდ ოფიცერი და წაიქცა, ხმალი ხელიდან გაუვარდა. ხმალი გველის ენასავით წაიწია მარიასკენ და ფეხებთან დაცურდა.

— მოგვარტყუს, ჩასაფრებულან! — გაისმა პარმალზე ყვირილი.



— რაიკომი ჩავვისადრდა! ოთახი სავსეა წითელ-
არმიელებით! მოიტათ ტყვიამფრქვევი! — გაისმა ეს-
კადრონი.

გაჩაღდა ბრძოლა.

მარია ჩინებული მსროლელი იყო და რამდენიმე
თეთრების ჯარისკაცი ამოუწვინა გვერდით კაპიტანს.
ოთახში ტყვიები ზუზუნებდნენ. მარია იბრძოდა დამ-
შვილებით. მას უკვე სამი ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ
თოფს ხელს არ უშვებდა. მას თვალწინ ედგა ფურგონ-
ნი, თექვსმეტი დაჭრილი წითელარმიელი და მძიმედ
დაჭრილი რაიკომის მდივანი. მან იცოდა, რაც უფ-
რო მეტს დროს გააჩერებდა აქ ესკადრონს, მით
უფრო შორს, სამშვიდობოს ვავიდოდნენ დაჭრილე-
ბი. მან იცოდა ისიც, რომ ეს მისი უკანასკნელი
წუთები იყო და ძვირად ყიდდა სიცოცხლეს.

როცა მეოთხე ტყვია მოატყეს, მარჯვენა ხელი
გაუფუჭდა და თოფი გაუვარდა. მარცხენათი ასწია
თოფი, მეორე თოფთან მიაყუდა კედელზე, თავდაც
კედელს მიეყრდნო და საათს შეხედა. ოცი წუთი
გასულა.

გაეხარდა, რომ ამდენი დრო გასულა. მეზღვაური
ამბობდა, ათი წუთია საჭიროო. ოცი წუთი კი გა-
სულა. ხა... ხა... როგორ მოატყუა თეთრები, მათ

ჰგონიათ აქ მთელი ასეული ჩასადრებული და ტყვი-
ამფრქვევს უშვებენ რაიკომს...

თავი დაუძმინდა. საღი მარცხენა ხელით ჩამოშ-
ლილი თმები აიკეცა და კედელს მიაჩერებდა. მარჯვენა
ისევ ისე მუშაობდა, ისევ ისე ეკიდა კალენდარი.

28 აგვისტო, 1918 წელი... — წაიკითხა მარია.

— ჩემი დაბადების დღეა. დღეს ჩვიდმეტი წლის გაე-
ხლი...

— დაგენებდით! — მოისმა კარებში და ათიოდე
თოფის ლულამ შავად შემოიხედა.

მარიამ თავი ასწია მტრის დანახვამ ძალა შემა-
ტა. დაიძაბა, წამოდგა, მარცხენა საღი ხელით რა-
ფას დაეყრდნო და ტანი აითრია მთებისაკენ გაი-
ხედა, სადაც ტამანის არმია იხევდა. გზაზე არავინ
იყო.

— ამხანაგებო, გადარჩით? — ჩაილაპარაკა მარი-
ამ. — გადარჩი, მაილო? — და წარმოუდგა ჭალარა,
ჭკვიანი, გულმართალი და მამასავით საყვარელი
რაიკომის მდივანი. — როგორ არიან ის დანარჩენები?
ის თექვსმეტი დაჭრილი?

მუხლი მოეკეცა. ლურჯ თვალებში სიშავე ჩამოდ-
გა. ჩაიკეცა თავის თოფებთან.

ორი თოფი თავზე ადგა, როგორც ორი ბოლშე-
ვიკი უკანასკნელ საბატოე ყარაულში...

ჰარამ ჟაჰიდი

მეგობარი

შორს მიცურავს, ბოლავს ზღვაში,
სწრაფ მიაპობს ტალღებს გემი,
ეს გემია ჩემი ქვეყნის
და ზღვაც ვრცელი არის ჩემი.

მე ქარიშხალს ვემობილე,
შევეჩვიე გრივალს, ლევას,
ზღვის ბურუსიც ველარ უძლებს
ჩემს თვალებში ჩამღვარა ელვას.

მე სამშობლომ ზღვის გუშავად
დამაყენა ტალღებს შორის,
ზღვა გრგვინავს და სულ ბობოქრობს,
ხმა არ ესმის თანასწორის.

მე ზარბაზნის ქეჭა-ქუხილს
ზღვას ვაგონებ მტრების რისხვად,
სტალინისთვის თავს ვაგწირავ,
რომც ვადიქცეს ეს ზღვა სისხლად.

შორს მიაპობს ტალღებს ზღვაში
ჩემი ქვეყნის მძლავრი გემი,
ეს გემია წითელ ფლოტის
და ზღვაც ვრცელი არის ჩემი.



თუჩან ზანიაშვილი

მას თუშური ქული ეხურა და შავ ხალათზე ბოლობალითანი ქაპარი ერტყა.

სკოლის ეზოში რომ შევიდა, ჟრიაბული შეეგება. აუარებელი ბავშვი ირეოდა: ლაპარაკობდნენ, ყვიროდნენ, იცინოდნენ, ბურთს დიდდევდნენ.

ვალავანთან ორი ყმაწვილი იდგა. მალალს წიგნი ეჭირა, საქმიანად ფურცლავდა და თან გაცხარებით ელაპარაკებოდა ჯოხზე დაყრდნობილ ამხანაგს.

უცებ ლოყებდაბერილმა, დაბალმა გიჟმაქმა ჩამოიქროლა, წიგნს ხელი აპკრა, მალალს სახეში მიარტყა: — გვიოფა, წიგნის ქიავ, დაისვენე! — მიაძახა და გაიქცა.

„წიგნის ქია“ ფეხმარდალ აედევნა და მისძახოდა: „გულა, გულა!“ მაგრამ გულა ისე ოსტატურად დაგორავდა, რომ „წიგნის ქია“ იძულეზული გახდა მის დაქერაზე ხელი აეღო.

გულა აკაციის ქვეშ მივიდა, შეგროვილი ბიჭები მისწი-მოსწია და შუაში მოექცა... თუშურქულიანი დაინახა, ჩაიღიმა და წამოიძახა:

— ოპო, რაღა გვიჭირს, ჩვენ სკოლას ერთი გავგრია კიდევ შეჰპატებია!

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

თუშურქულიანმა თავი დალუნა და ფეხით მიწას დაუწყო ხაზვა.

— რა გქვია? — ტბილი ხმით შეეკითხა გულა.

— სიკო.

— სიკო კარგი სახელია. — წარმოთქვა ეშმაკურად გულამ და მოულოდნელად ქული მოსტაცა.

სიკო შეწუხდა, წამოდგა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა: გულა ათამაშებდა ჩიტის ბუდეცავით პატარა ქულს და გულიანად ხარხარებდა.

ხუტუქთიანმა ყმაწვილმა თავი გამოიღვა: გულას გამოეცა, ქული წაართვა და სირბილით მიუტანა პატრონს.

სიკოს თვალები აუწყლიანდა. მაღლიერი მზერით დაათვალიერა სიკეთის ჩამდენი: წითური ყმაწვილი იყო, ხუტუქთიანი, მარჯვენა ლოყის თავზე დიდი ხალი ჰქონდა.

უცებ ყვირილი გაისმა: „ეშმაკი! ეშმაკი!“

სიკო შებრუნდა, მოულოდნელობისაგან თავხარი დაეცა. რაღაც საშინელება უახლოვდებოდა, უეცბრეთელა ბალნიანი სახე ჰქონდა, უშველემელი კბილები, უკბრივით შავი რქები, სისხლივით წითელი ენა.

გული გაუსკდა საცოდავს, შეხტა და კარებისაკენ გაქანდა. ვილაცა კრეკვაბიანს მძლავრად დაეტყა. გოგონა წაიქცა, ბანტშებმული ორი ნაწნავი მტვერში ამოეგლო, ბაბთიანი საყულო შეეხსნა და ზურგზე გადაიფარდა. ატირდა გოგონა, ძლივს ადგა და ზედიზედ მიაყარა თუშურქულიანს:

— მხეცო, რეგვენო, უზრდულო!

სიკოს ხმა არ გაუტია.

გოგონა კოკლობით გაშორდა, მუხლზე ხელს იჭირებდა; კიბის თავზე რომ ავიდა, შემობრუნდა. გაუკვირდა, რომ „თავხედი“ კვლავ უძრავად იდგა და დარცხენით იყურებოდა. წინ ვაღმოვარდნილი ნაწნავი მხარზე გადაიგლო და დაბეჯითებით დააკვირდა ყმაწვილს.

ბიჭმა ველარ გაუძლო გოგონას ჯიქურ მზერას და ეზოსაკენ შებრუნდა.

გულა კვლავ მზიარულობდა, უცნაურხეველებიანი მუყაო ეჭირა და დარბოდა. აი, მუყაო სახეზე მიიფარა, და სიკომ „ეშმაკი“ იცნო: ჩაიციხა, მიხვდა, რამ შეაშინა წყლან.

ზარის ხმამ ეზოს ფალავნები ალაგმა. ყველა კლასებისაკენ გაეშურა. სიკომ თავისუფალი მერხი მონახა. მასწავლებელი შემოვიდა. ყველანი წამოდგნენ. უეცრად სიკოს გვერდით გულა გაჩნდა.

მასწავლებელი დაჯდა და მოწაფეებით მერხების ხმაურში დალაგდნენ.

ამოკითხვა დაიწყო.

სიკო გაინახა და გულისჯანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. სჯეროდა, რომ ქალაქის სკოლაში ყველაფერი სხვანიად უნდა ყოფილიყო.

მასწავლებელი გვერებს კითხულობდა, მოწაფეები ხან აქედან პასუხობდნენ, ხან იქიდან.

— ბერიძე მიხეილ, — დაიძახა მასწავლებელმა.

მაღალი, ხალიანი ყმაწვილი წამოდგა.

სიკომ იცნო მის ყმაწვილი, ქული რომ მიუტანა ეზოში.

— პიქაძე ნიკოლოზო.

გულა წამოდგა, განგებ გაწვრილებული ხმით უპასუხა და ისე მაგრა დაეცა, რომ მერხი შეირყა. ჩემმა სიცილმა აახმაურა კლასი.

— ბალოაშვილი თედი!

უკანა მერხზე კოკლი ყმაწვილი წამოდგა.

— ლორთქიფანიძე თინა!

პარკვენი მბრძანდნ ორანწანიათი გოგონა წამოდგა. ეს ის გოგონა იყო, კარებში რომ დაეჯახა სიკო.

—ხელაშვილი სიკო!

სიკო წამოდგა. მასწავლებელმა სათვალეები შეისწორა, ახალი მოწაფე ხარბად დათვალერა.

— სად სწავლობდი წინათ?

—ვაჭირის სკოლაში, —მორცხვად უპასუხა და საჩვენებელი თითი მერხზე ამოძრავა.

მასწავლებელმა ეურნალი დაკეცა და წყნარად თქვა: —დაჯექი!

სიკო დაეშვა, მაგრამ შეჰყვირა და ისევ წამოხტა. უკან მერხებზე გაგუდული, ძლიერი სიცილი ატყდა, ისეთი, როგორც მხოლოდ გაკვეთილის დროს იცის ხოლმე.

სიკომ შეამჩნია, როგორ დამალა გულამ კალამი. —რატომ არ ისვენებ! იმის მაგიერად, რომ პატივი სცე ახალ მეგობარს, კალმით უმასპინძლები? —დატუქსა მასწავლებელმა გულა, ახალი მოწაფე კი თინასთან გადასვა.

სიკო დაჯდა, მაგრამ ერჩინვა გუდას დაგებულ კალამზე მგდარიყო, ვიდრე ამ გოგონასთან: ეს ხომ ის იყო, კარებთან რომ დაეჯახა.

ასე ჩაიარა საშუალო სკოლაში პირველმა დაუფიწყარმა გაკვეთილმა.

მეჭროდა დრო. გაკვეთილი გაკვეთილს მისდევდა და შემოდგომის ფოთლებივით სცვიოდა სასწავლო წლის ხეს. პირველი მეთთხედი სკოლის კედლებს ეთხოვებოდა...

გაორკეცებული ენერგიით სწავლობდნენ მერვეკლასელები. ჩამორჩენილთა წრეებში დეულდა მუშაობა.

სიკო, როგორც ჩამორჩენილი, თინას წრეში შეცდილიყო. იგი ყველაზე სუსტ მოწაფედ ითვლებოდა. თუ ვინმე შეარცხვენდა მერვე კლასს, ეს უშუქველად ხელაშვილი იქნებოდა, — ასე ფიქრობდნენ მასწავლებლები, მოწაფეები.

ერთხელ სამასწავლებლოში სიკოზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა ჩვეულებრივად სათვალე შეისწორა და თქვა:

—დიდ იმედებს ვემაყრებდი მაგ ყმაწვილზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

—არასოდეს უპასუხნია ჩემთვის! — დაუმჯობესეს ულის მასწავლებელმა.

—არც ჩემთან, აკეთებს რამეს.

—არც ჩემთან — ისმობდა აქეთ-იქიდან:

სიკოსი დირექტორმა კი ბოლოს თქვა:

—ასე წყალწალებულიც არ უნდა იყოს ის ბიჭი! არც ზარმაცი ჩანს, ჩემი აზრით, უფრო მორცხვობს. ზოგიერთი თავგასული თანეარიც არ აცლის და ხელს უშლის. იმასაც ანგარიში გაუწიეთ, რომ ის ბიჭი სოფლიდანაა ჩამოსული.

მეორე დღეს ისტორიის გაკვეთილი ჰქონდათ, ამ სავანს დირექტორი ასწავლიდა.

მასწავლებელმა სწრაზად ამოიკითხა სია, კლასი ჩათვალერა და ქანდაკევით შეჩერდა დაფის წინ. სიჩუმემ ფრთები გაშალა.

—აბა, ხელაშვილო, გვიამბე გაკვეთილი!

—აბა, გავრი, შენ იცი, როგორ, შეგვარცხენ! — წაიხინია გულამ.

სიკოს ენაზე მომდგარი სიტყვა ჩაუწყდა.

—დაიწყე, მოგეხმარები! — დაუყვავა მასწავლებელმა.

სიკომ რაღაც ამოიბუტბუტა, მაგრამ უკან სიცილი გაიშა და ისევ გაიშმა. თვალები აუტყრემლიანდა.

—დაჯექი! — უშულოდ უთხრა მასწავლებელმა.

—გავრიამ გვიასახელა, ასე უნდა, მაშ, ეგ რომ არ იყოს, ჩვენ ვინ შეგვარცხენდა! — ხიზითებდა გულა და სხევებსაც აცინებდა.

—აბა, პაიჭამე, შენ გვიამბე გაკვეთილი!

გულას ლაპარაკს აშქრების სიცილი აჰყვა.

—დაჯექი, არც შენ იცი!

დიდ დასვენებაზე დირექტორს სიკო გაეყვანა ეზოში, ხელი მოეხვია და ელაპარაკებოდა:

—მეც სოფლიდან ჩამომიყვანეს, პირველად მეც მრცხვენოდა, მაგრამ გაკვეთილის მოთხრობას მაინც ვახერხებდი, — ეუბნებოდა წყნარად დირექტორი.

სალამოს ჩამორჩენილთა წრეში მხოლოდ სიკო გამოცხადდა.

თინამ გეოგრაფიდან დაიწყო.

—დღეს, ჩვენს საზღვაო ტრანსპორტზე ვისაუბროთ.

—საბჭოთა კავშირი ვაჭრობას აწარმოებს ბალტიის ზღვის, კასპიის ზღვის, ჩრდილო ყინულოვანი ოკეანისა და წყნარი ოკეანის ზღვებით. ამ საზღვაო გზებით ჩვენ ვემგებს....

შავი ზღვა დაგავიწყდა! — წარმოთქვა უცემ სიკომ.

თინა შედგა, აწითლებულმა უპასუხა:

—შავი ზღვა როგორ შეედრება სხვა ზღვებს, ისინი უფრო დიდები არიან.

—სიდიდე არაფერს ნიშნავს, ყველაზე მნიშვნელოვანი შავი ზღვაა. საბჭოთა კავშირის ტვირთის ნახევარი შავი ზღვით გააქეთ. — სიკო წამოდგა,

გული გაუსკდა საცოდავს, შეტბა და კარებისაკენ გაქანდა.





სიკომ გეოგრაფის მასწავლებელი შენიშნა და კარგში ნაძალადევად შეიპარა.
კლასში სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი მძაფრი და არაჩვეულებრივი, როგორც არასოდეს.
სიკო თავიჩაქინდრული ვაემართა პატარა ხსენებულ ქველა გაჩუმდა.

—დღეს გამეორება გვექნება,—თქვა მასწავლებელმა და ცოტახნის შემდეგ იკითხა:

—აბა, ვინ მიაშობს საზღვაო ტრანსპორტის შესახებ?

აქა-იქ თითები აიშართა.

სიკომაც გაუბედავად ასწია ხელი. მასწავლებელს ეუცხოვა. ვერ გაეგო, მართლა იცოდა, თუ ისე შემთხვევით დარჩა ხელი ჰაერში.

—აბა, პაიქაძე, მიაშბე.

გულამ თავი ჩაღუნა, ნამალევიად მეზობელს ენა გამოუყო და აახითხითა.

გულა ისევ ადგილზე დასვეს.

მასწავლებლის მზერა სიკოს ოდნავ აწეულ ხელს დაუბრუნდა.

—აბა, სიკო, იქნებ შენ გვიამბო?

თინას ვაუხარდა: ეს გაკვეთილი ხომ კარგად იცოდა მისმა მეგობარმა. მიხელილმა ცნობისმოყვარეობით გახედა სიკოს. გულამ ლოყები უფრო დაბერა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მიხეილისა შეეშინდა.

სიკო გაუბედავად ადგა, თვალები დახარა და თითქოს ვულკანმა ამოხეთქაო, ისეთი ძლიერი ხმით ამოიძახა:

—საზღვაო ტრანსპორტი... დიდი და თვალგადაუწვდენელია საბჭოთა კავშირის ტერიტორია. მაგრამ სახმელეთო გზებით იმდენი ტვირთიზღევა არა წარმოებს, რამდენიც ზღვებით. ეს ზღვებია: შავი ზღვა, ბალტიის ზღვა, კასპიის ზღვა...

ლაპარაკობდა სიკო და თავს მაღლა არ იღებდა. სიტყვები განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ. ივრძნობოდა სიმტკიცე და დამაჯერებლობა. თითქოს ბრაზობდა, შფოთავდა და ბოძობობდა.

—რუკასთან მოდი!—წარმოთქვა მოულოდნელობისაგან განცვიფრებულმა მასწავლებელმა და წინ წამოიწია.

სიკო ლაპარაკით წავიდა. მივარდა რუკასთან, აჩვენა ზღვები, ნაესადგურები, საზღვაო გზები. ყველაფერს კარგად მარტავდა.

მასწავლებელმა მხოლოდ მაშინ შეწყვიტა კითხვები, როცა ზარი დაირეკა.

მადლიერი თვლით შეხედა შუბლზე ხვითქმოდებულ სიკოს, ყოჩაღო, უთხრა და ანიშნა ადგილზე წასულიყო. ერთხანს დუმდა, შემდეგ კი კლასს მიპარათა:

—აი, როგორი უნდა პასუხი!

დასვენებაზე დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ყველა სიკოზე ლაპარაკობდა, იყო სიცილი, შურიანი წამოძახილი და აზრთა სხვადასხვაობა.

(გარემოლება შემდგომში).

დიდ დასვენებაზე დირექტორს სიკო გაცევანა ეზოში, ხელი მოუხვია და ელაპარაკებოდა.

რუკასთან მიიჭრა. აჩვენებდა ზღვებს, გზებსა და ნავსადგურებს.

—ასე თუ იცოდი, რატომ არ უამბე მასწავლებელს?—ჰკითხა თინამ.

—შემეხატო.

—შეგეხატო, თუ არ იცოდი?

—როგორ არ ვიცოდი, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ...

—რაღა მაგრამ?

—დამცინიან, არ მაქლიან.

ყმაწვილი წამოწითლდა, ხალათის კალთას დაუწყყო სრესა.

მეორე დღეს სიკო ყველაზე გვიან მივიდა სკოლაში. კიბის თავს რომ ვასცდა, ზარი მაშინ დაირეკა. აიღებდნენ მიუახლოვდა კარებს, ის იყო უნდა შესულიყო, რომ მიხეილის ვაცხარებული ლაპარაკი შემოესმა:

—...ზოგიერთი ჩვენი მოწაფე ძალიან ცუდად ექცევა სიკოს, პირდაპირ მასხარად იგდებს; მაგალითად, პაიქაძე ყოველთვის დასცინის და გაკვეთილის დროს საშუალებას არ აძლევს, რომ მასწავლებელს უპასუხო. სიკო კარგი ამხანავია და ასე ნუ მოგვექცევი.

—ტყუილად მამბობდით, მე მიყვარს გავრია!—მოსმა გულდასცინიერებდა.

—მაშ, რა იყო, გუშინ მერხის ქვეშინად რომ წიხლი წაპკარი, შენ არ იყავ?

სიკომ კოჭლი თვლი იცნო.

—იმაზეც უარს იტყვი, ჭალაღლები რომ ჩამოჰკიდებ მხრებზე?—ჯავრობდა თინა.

—„პაგონები“ გავუტეთ, ცული ხომ არაფერი ვუყავი.

3. პ ა რ ო ვ ი

მზე ხეების ზევით იწვედა და ნათელ შუქს აფრქვევდა ქოხზე. ქოხში უცხად დათბა. ბაბუა გალაქტიონი ჩამოჯდა საწოლის პირას და ოდნავ გადაიღუნა შვილიშვილისაკენ.

— ოლენკა, გაიღვიძე, — უთხრა მან. — შეხედე მზე სად წამოვიდა, დროა, წაიღეთ დღესაც ტყეში, ზამთრისათვის ხილისა და სოკოების მომარაგებუ გვინდა. ოლიამ თვალები აახილა და მზის სხივების გამო ისევ მოკუტა, ტკბილად გაიზმორა. შემდეგ აჩქარებით წამოხტა ლოგინიდან, პირი დაიხანა, დაავლო ხელი ბაბუს მონატებ პურს და პირველი გამოვიდა ქოხიდან.

ბაბუა გალაქტიონი და ოლია უკვე უახლოვდებოდნენ ტყეს. მიდიოდნენ პანის მამულზე, პირდაპირი გზით.

— შეხედე, ბაბუა, იქ რაღაც ცხენი მოჩანს, ლეონოვის მამა ხომ არ არის? — ბაბუამ თვალები დააქუცია, ვერაფერს ვერ ხედავს.

— აი ავგო, იქ, — უთითებს ოლია.

ბაბუა გალაქტიონი და ოლია გაემართნენ მამასკენ. მამა უკვე გამოძღარა, მუცელი კასრივით გამოზბურია და ახლა მხოლოდ ერთობა: კბილით წიწვნის შერის ძნას და აბნევს იქით-აქით, რომ მოგლოავს თავთავი. ის მზიარულად დგას ძნის კონასთან, მისი თვალები ბრწყინავენ მზეზე. ბაბუამ შეხსნა აღვირი.

მამამ გადაისროლა ძნა მეორე მხარეს და მზიარული თვალებით მიაჩერდა ბაბუსას. ის დგას როგორც დარკობილი სვეტი. ბაბუა ჩაეჭიდა აღვირს. მისი პერანგი ბუსტივით გამოიბერა.

— ჩქარა წამოდი აქედან, სულელო! შვილი-შვილო, გაავდე, ურტყი კალათი!

ბაბუსა უნდოდა კენებით წაეყვანა ცხენი, მაგრამ მამა ნაბიჯს არ უჩქარებდა, მხოლოდ კისერს იგრძელებდა, როცა ბაბუა მოსწევდა აღვირს. უცებ გაისმა ცხენის ფეხის ხმა, შემდეგ კი ძახილი:

— შესდექი, გლეხო! ჩავარდი!

ოლიამ მიიხედა და ამოხოვრით დაემშვა თავის ადგილზე: გაქენებული ცხენით მოქროდა თვით პანი მიონჩინსკი.

— გაიღვიძე, ბებერო, ახლავე პასუხს აეგე ზარალი-სათვის!

ბაბუა გალაქტიონმა იცოდა, რომ პანთან შელაპარაკებით უარესი დღე დაადგებოდა. ის დამარცხებული შეჩერდა. ოლია მეტისმეტად შეშინდა, მაგრამ ბაბუსას არ მოსცილდა. პანი მიონჩინსკი ჩამოვიდა თავისი ბედღურიდან და გამოზომილი ნაბიჯით გაემართა მათკენ.

ჩასუქებული და წითელი, საშიში იყო ის, როგორც ყოველთვის. განსაკუთრებით საშიში იყო მისი უღვაწები, ფრინველის გაშლულ ფრთებს რომ ჰგავდა. გადაადგებული თხელნაწნავა გრძელი მათრახი ნელა ირხეოდა.

— მე თვით, დიდებულო პანო, უცხენო ვარ, გაუბედავად ამბობდა ბაბუა. — აი, დაინახე, როგორ ანადგურებდა ბატონის ჭირნახულს ჩერჩეტი ცხოველი, ჰო და, ვიფიქრე, უნდა გავავლო მეოქი განზე.

— უუ! — დაიღმუვლა პანმა და დახედა გაბნეულ ძნას, — ო, აქ ჯოგს გაუთევია ღამე.

პანი მიონჩინსკი გაეჭანა ბაბუსასკენ და ღონიერი მოქნეით ჩაართვა მას გულში.

ოლიამ უქნიდან მოუარა პანს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყო მას თავისი ფლოსტებით ცემა.

— ბაბუა! — გაიძახოდა ის ტირილით.

— პანი ახლა ოლიას მიუბრუნდა და მათრახი გადააწნა ბეჭებზე.

— დაიკარგე, გველო! — ოლია მიგრად ჩააფრინდა თავისი პატარა ხელებით პანს სახელოში და უტბინა ფუნთულა ხელზე. პანი ეცა მას თმებში და კიდევ გადააწნა მათრახი.

— უფლებია არა გაქვთ ბავშვს სცემოთ! — შეუყვია ბაბუა გალაქტიონმა.

— ააა! შენ შენი უფლებების შესახებაც იცი, ცხოველო? — დაუფერა პანმა მიონჩინსკიმ და კვლავ დაუწყო მათრახით ცემა ბაბუსას.

— წაიდი, იჩილე, სადაც გენებოს.

— კიდეცა წავალ! — გაბრაზებით უპასუხა ბაბუამ.

— ჰო და წაიდი, იჩილე! — ჩაიხითხითა პანმა, შეახტა თავის ბედღურს და გაქუსლა ტყეში თავისი მაშულის მიმართულებით. ბაბუა გალაქტიონი კი



— მე თვით, დიდებულო პანო, უცხენო ვარ, გაუბედავად ამბობდა ბაბუა.

სლიკი მივიდა თავის ქონში. გზაზე სულ ოხრავდა და სწყევლიდა პან მიონჩინსკს.

— ეხ, შვილიშვილო! — მძიმედ ამოიხიზრა მან, — ასე პანის ჩეკმებქემშ მოვეცდები, მე ვეღარ მოვესწრები თავისუფლების ხილვას.

— მოესწულები, ბაბუა, — ამშვიდებდა ოლია.

— არა, ახლა ვეღარ, შვილიშვილო, — იმეორებდა ბაბუა. — აი, შენ შეიძლება მოესწრო, გაიხრბები, იქნებ იმ დრომდე გათენდეს.

ოლიამ მაშა ლეონ ბეგეზას გაუყვანა, ბაბუას აღარ შეეძლო. მოსაღამოებულზე ბაბუა სულმთლად მოეშვა, ჩაწვა ლოგინში. ოლიამ ბაბუა ვალაქტიონთან მოვიდა ლეონ ბეგეზა, მამას პატრონი.

— აბა, ბაბუავ, არ იჯავრო, უთხრა მან, — წითლები მოდიან ჩვენთან, საბჭოთა ხელისუფლება მოაქვთ. პანები გაიქცენ, მხოლოდ პან მიონჩინსკის მოვიყვან ამაღამ შენთან ბინაზე.

— კებარა ერთი შენც! — არ იჯერებდა ბაბუა.

— საქმე იმაშია, განაგრძობდა ბეგეზა, — რომ გასაქცევი არასით აქვს ჩვენს პანს: ირგვლივ წითლები არიან, ჯერჯერობით წისქვილი იმალება. თავისი შინამოსამსახურე გოგოს ააშუალეობით ითხოვს დამელოთ სოფელში. ჩვენც გადავწყვიტეთ შენთან მოვითავსოთ მიწისქვეშა სარდაფში.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა ბაბუამ, რომელიც ჯერკიდევ საყვებოთ არ უჯერებდა ლეონს. — სარდაფი მე შესაფერისი მაქვს პანისათვის.

შუალამისას ლეონმა ფარულად მიიყვანა პანი ბაბუა ვალაქტიონის ქიხში. პანი გაკვირვებით ჩაძვრა სარდაფში. უკვე გათენებოსას, როდესაც სარდაფიდან მთელი ხმით ისმოდა პანის ხერინევა, ბაბუა ვალაქტიონმა ფაქიზად, განსაკუთრებულად ხმაურის გარეშე, მაგრად დაკეტა სარდაფის ჩასაღები.

— ასე უფრო საიმედოა, პანი მკვირცხლია, შეიძლება ამოხტეს სარდაფიდან. დილით პან მიონჩინსკიმ სარდაფის კარებზე წელი დააკაკუნა.

— რა ნებას პანს? — ჰკითხა ბაბუამ. ოლია გაფართოებული თვალებით უყურებდა ბაბუას, ღამით მას ეძინა და არ იცოდა პანის ახალ ბინაზე გადმოსვლის შესახებ.

— ბაბუა, ცუდად ხარ? — შემფოთებოთ ეკითხებოდა ის. — შენ კიდევ პანი გელანდებ? — ოლიას ეგონა, ბაბუა ჰკუპუზებ შერიყაო.

— გაჩუმდი, შვილიშვილო, — წაიჩურჩულა ბაბუამ და ეშმაკურად ანიშნა თვალით, — პანი მიონჩინსკი იქაა.

— ლეონ, ეს შენა ხარ? — გაისმა ხმა სარდაფიდან.

— რა არის ეს, ეშმაკია იქ? — შეშინებული ეკითხებოდა ოლია.

— ხო, ეშმაკია, — შიგ ყურში ჩასჩურჩულებდა ბაბუა ოლიას, — თვით სატანაა, — პანი მიონჩინსკი.

— ლეონ, ხმაშემა ილაპარაკე, — მოსმობდა სარდაფიდან, — ყურები დახშული მაქვს, არ მესმის!

— ლეონი ჯერ არ არის, — უპასუხა ბაბუა, ვალაქტიონმა. — მხოლოდ მე ვარ აქ, სარდაფიდან.

— შენ ცუდი მასპინძელი ხარ! — ბუნებურება პან მიონჩინსკი, — ვერთავებოთ არიან შენს სარდაფში. მოიყვანე აქ კატა, თორემ შეშმაგენ.

— ჩვენ, დიდებულო პანო, სამ ენოზე ერთი კატა გყავს. სამი დღის შემდეგ მოგვივა ჯერი კატაზე. ჯობთ ვერ უძლებს, რომ თვითთულ ოჯახზე ვიყოლით კატა. თქვენ მანდ ვერთავებოთ მათრახი უთავაშეთ!

— ჰო, კარგია, — უთხრა პანმა, — მომეცი საქმელი, ლეონი მზა საქმელებს შეშმაგენ.

ბაბუამ ჩათალა ბურახში ზამთრის ბოლოკი, მარილი მოაყარა და საკატე ფანჯრიდან ჩააწოდა პანი.

— ეს რაა, — უთხრა პანმა, — მე ამის ქამა არ შემიძლია. მომეცი მეორე კერძი.

ბაბუამ ჩაფშვანა პური წყალში, მარილი მოაყარა და ჩააწოდა პანს.

— მეორე კერძად, პან, წყალში ჩაფშვნილი პური გვაქვს.

— შენ თვითონ ქამე, — გაჯავრდა პანი. — მე არ შემიძლია!

— გვაშთ, პან, — უპასუხა ბაბუამ, — მიეღი ცხოვრება ამ სალაფავს გვაშთ თქვენი პანობის წყალობით. რაც შეგვცხებათ თქვენ, არ დაგეშოთ ქონი ჩამოგავადეთ, რომ წითლებმა უტბად არ იცნონ თქვენი ბრწყინვალება.

მეორე დღეს სოფელში წითლების ჯარი შემოვიდა. ბაბუა შვილიშვილთან ერთად ქუჩაში გამოვიდა წითლების შესახვედრად. წითლები სოფელში დროშებით შემოვიდნენ.

სკოლასთან, მოედანზე მიტივნი გაიმართა. ტრიბუნაზე ბაბუა ვალაქტიონიც ავიდა, მხოლოდ მღელვარებისგან ვერაფრის თქმა ვერ შესძლო. მიტივნის დამთავრების შემდეგ ბაბუა ვალაქტიონმა წითელარმიელები სტუმრად მიიწვია.

— ჩუმად, — უთხრა მან სტუმრებს ქობთან, — მე თქვენ ფოქუს-მოქუსს ვაჩვენებო.

ქობში შესვლისას ბაბუა ვალაქტიონმა თავი ახადა სარდაფს.

— ამოდი, დიდებულო პანო, ზევით გთხოვენ! სარდაფიდან გამოჩნდა პანის თავი.

— თქვენ, პან, მაშინ, მათრახით რომ მკვებით, მითხარი: წიდი და მიჩილეო, — უთხრა ბაბუამ, — და, აი, შენ ვიჩილე ამხანაგ წითელარმიელებთან. პანმა შიშით სარდაფიდან ამოძრომავ კი ვეღარ მოახერხა. ის წითელარმიელებმა ამოათრის და შტაბაში წააყვანეს.

თარგმანი ანონ-სა.



ქართველი დედა ქეთევანი

ბევრი შავბნელი დღე განიცადა ქართველმა ხალხმა თავის ხანგრძლივ წარსულში. ახიის ბარბაროსთა ურდოები ზშირად ესოფენენ მას, სწადათ დაპყრობა, ფეხქვეშ გათელა... მაგრამ ქართველი ხალხი გმირულად ხედებოდა შემოსულ მტერს, მამაცად იცავდა თავის ყვრასა და თავისუფლებას. ბრძოლის ველზე არაიშვიათად გამოდიოდნენ ქართველი ქალები მსხვილით ხელში და თავგანწირული ომით გმირულ სულს უღვამდნენ ქმრებსა და ძმებს. საქართველის ისტორიის ერთერთ მშვენიერ ფურცელს წარმოადგენს ქეთევან დედოფლის თავდადება სამშობლო ათვის.

უნუგეშო სურათს წარმოადგენდა საქართველო მე-17 საუკუნის დამდეგს, როცა მის შთანთქმას ემუქრებოდა ორ პირადღორენილი ვეშაპი, აღმოსავლეთით დიდი ირანი, სამხრეთ-დასავლეთით კი ძლიერი თურქეთი. ირანი ებატონებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ივერიის, თურქეთი კი დასავლეთ საქართველოს, ანუ კოლხეთს. ამ მძიმე პირობებში, გაერთიანების ნაცვლად, ქართველმა სამეფო-სამთავროებმა იწყეს ძებნა ძლიერი მფარველისა და მოკავშირისა. ასეთი იყო იმეამად მოსკოვის სამეფო, რომელსაც ხელს უწყვდიდნენ და სთხოვდნენ მფარველობას ივერიის მეფენი, ეს გარემოება კი მეტად აპრაზებდა ირან-თურქეთს. მათ აწინებდა რუსთა შემოსვლა საქართველო-კავკასიაში. ირანის ბატონმა შაჰ-აბაზმა პირველად მშვიდობიან გზას მიმართა ივერიის მეფეთა მიმართ, რათა აეშორებინა თავიდან ეს დიდი საფრთხე. მაგრამ რაკი დაყვავებით ვერას გახდა, მაშინ გამოუგზავნა კახეთის მეფეს ალექსანდრეს მკვლელი, — ეს იყო თვით ალექსანდრეს ვაჟი, კონსტანტინე, ადრევე მძევლად აყვანილი და გამაჰმადიანებული. შაჰმა იხმო კონსტანტინე და მიმართა ამ სიტყვებით:—წადი ოფირიაში, მოჰკალ მოლაღატე მამა შენი, მეფე ალექსანდრე, და შენი ძმა გიორგი, მთელი კახეთის სამეფო შენთვის დამილოცინაო. თან გამოატანა 15.000 კაცისგან შემდგარი რჩეული მხედრობა.

კონსტანტინე შემოიჭრა თავისი ჯარით ქიზიყში, დაიბარა მამა და ძმა, მოკლა ისინი მუხანათურად და მით პირნათლად შეასრულა შაჰ-აბაზის დავალება. ეს სახარო ამბავი მოხდა 1606 წლის ზაფხულში. კონსტანტინე შემოვიდა კახეთის საზღვრებში და მოიწადინა მთელი სამეფოს დაპყრობა.

სცნო თუ არა ეს ამბები მეფის რძალმა, დავითის ქვრივმა, ქეთევან დედოფალმა, სწრაფად შეკრიბა კახეთის სასულიერო ვაჟაკები, 5000-მდე კაცი, დავით ჯანდიერის სარდლობით, და მიმართა ამ სიტყვებით:



ქეთევან დედოფალი.

—კახეთის ერთგული შვილნი ხომ სცანით, რა საშინელი საქმენი ჩაიდინა ბოროტმა. მან მოჰკლა, შაჰის ბრძანებით, საკუთარი მამა და ძმა, ეხლა კი მოეშურება ჩვენს წინააღმდეგ მტრის მხედრობით, რათა დღიანობის მთელი კახეთის სამეფო და დაგვადოს მონობის მძიმე უღელი... ძმებო და შვილებო! გაფიცებთ საყვარელ სამშობლოს, ნუ შევირცხვენთ თავს! ნუ გაგზდებით ლაჩრები!..

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს ქართველ დედას, ჩვენს გმირ ქეთევანს! — იგრიალეს იქ დამსწრე ვაჟაკებმა და იძრეს მახვილი.

მოეშადნენ საომრად... მათი საგმირო სიმღერის სამო ჰანგები გუგუნით ეფინებოდა მთებსა და მდელოს... კახთა მხედრობას წინ უძლოდა თვით მერანზე მეტადი ქეთევანი. მის გვერდით მიაგულვებდა ბედაურს განთქმული სარდალი დავით ჯანდიერი.

მცირე ხანიც — და, აჰა, შორით გამოჩნდა მტერი. კახნი არ შეუშინდნენ ირანელთა სიმრავლეს, ლომებოვით ეძგერნენ მტერს და გაავლეს მუსრი. ირანის ჯარის მთელი ბანაკი დარჩა გამარჯვებულ კახელთ. ამ ბრძოლაში მოკლეს თვით მოლაღატე კონსტანტინე.

ჩაუვიდა ეს ამბავი შაჰ-აბაზს. მის გამწარებას არ ჰქონდა სახელვარი. თვით ქეთევანმა ამცნო ეს ამბავი შაჰს უსტარით და კახეთის მეფედ მოსთხოვა მძევლად წაყვანილი თავისი ვაჟი, 13 წლის თეიმურაზი.

რაზი. შაპი იძულებული შეიქნა შეერსულენინა ქეთევანის ასეთი სამართლიანი მოთხოვნა. შაპ-აბაზმა დიბარა თეიმურაზი, აუწყა ყოველივე, დააღდა თავზე სამეფო თავჯი და მიულოცა კახეთის მეფობა; ჩამოართვა ერთგულების ფიცია და გამოგზავნა სამშობლოში; თან გამოაყოლა მისი ლალა შარბაზან ჩოლოყაშვილი.

თეიმურაზმა ვერ გაამართლა შაპ-აბაზის იმედები. იგი მალე დაადგა იმავე გზას, რასაც ადგა პაპამისი, მეფე ალექსანდრე. მას არ სწამდა შაპის გულწრფელობა. თეიმურაზს ირანი მაინც დაეგრიის მტრად, დამპყრობად, ამიტომ იწყა ელჩების გზავნა ჩრდილოეთით, მოსკოვის მეფეს სთხოვდა მფარველობას. ნორჩულ მოსკოვის სამეფოს კი, ახლადგებულს, არ შეეძლო იმამად რეალური დახმარება აღმოეჩინა ივერიისათვის, ხოლო დიპლომატიური ჩარევით საქართველოს საქმეებში ფრიად აბრაზუნდა თურქეთსა და ირანს, რომელთაც შემდგომ დიდი ზიანი მიყენეს ქართლსა და კახეთს. ამ სახიფათო საქმეში თეიმურაზმა ჩაითრია ქართლის ნორჩი მეფე ლუარსაბ მეორე და მით კიდევ უფრო გაამწვავა საქმე. ამას მოჰყვა თურქეთა ჯარების შემოსვლა ქართლში 1609 წელს, ხოლო 1614 წელს თვით შაპ-აბაზის შემოსვლა ივერიაში დიდი მხედრობით. ორივე შემთხვევაში ივერია იხსნა დაპყრობა-განადგურებისაგან უდიდესმა გმირმა გიორგი სააკაძემ. შაპ-აბაზმა მოტყუებით ჩაიგდო ხალხი თეიმურაზის ორი მცირეწლოვანი ვაჟი და დედა ქეთევანი, აგრეთვე ქართლის მეფე ლუარსაბი. თვით თეიმურაზი გადაურჩა დატყვევებას: ის იმერეთს გაიპარა.

მიუხედავად შემოთქმულისა, თეიმურაზს მეფე არ იშლიდა თავისას, გზავნიდა ელჩებს რუსეთში და სთხოვდა მფარველობას, დახმარებას... თეიმურაზის ასეთი საქციელი საიდუმლოდ არ რჩებოდა ვერაფ შაპ-აბაზს. მის ყველგან ჰყავდა ფარული „ერთგულნი“, რომელთა მიშვეობითაც სწრაფად იგებდა ივერიის მეფეთა ყოველ ნაბიჯს. გაბრაზებულმა შაპმა გადაწყვიტა კახეთის მცხოვრებთა სრული მოსპობა, ხოლო ქართლის მცხოვრებთა მთლიანად აყრა და ირანში გადასახლება; ამათ ნაცვლად კი სწავდა ივერიაში დაესახლებინა აზერბაიჯანის თათრები. საქართველოში გამოლაშქრებამდე შაპმა გასცა ბრძანება მოეკლათ ტყვედ წაყვანილი ქართლის მეფე ლუარსაბი, დანასტურისგინათ თეიმურაზის ორივე ვაჟი და ეწამებინათ გმირა ქართველი დედა ქეთევანი... მტრავლის ბრძანება განხორციელდა.

* *

მშვენიერია ირანის ქალაქი შირაზი. სექტემბერია, დიდებული მნათობი უხვად ჰყენს მცხუნვარე სხივებს ბაღებში ჩაფლულს და ვარდთა სურნელთა დამტკბარ შირაზს. დილითვე შეიქნა რაღაც მოძრაობა. იკეტებოდა დუქნები და ქაჩავასლები, იცლებოდა სახლები... ხალხით გაივსო ქუჩები. ქალი თუ კაცი, ყრმა თუ მოზოცი — ყველანი მიეშურებოდნენ დიდი მოედნისაკენ, სადაც უკვე აღმობრათო შუაგულ ალაგას წამების ამბოხნი; იქვე ქურახე ხურდებოდა რკინის მარწუნნი. საზარო სახის უხარბა-

ზარი ჯალათი ხელგებდაკაპიწებულნი აძლევდა განკარგულებას ორ თანამეშვეს.

ნეტა რას მოუხნიდავს აქ ამოდენა ხალხი შეკრებილი ბრძანებით ამ მოედანზე უნდა აწამონ ქართველები და ქეთევან გმირი. ხალხში ხშირად გაისმოდა „გურჯი ხანუმ“... „ბეიუკ ხანუმ“... „ქეთევან“... აჰა, მობრძანდა მდიდარული ტახტრეცით ირანის დიდი ბატონი, შაპ-აბაზ პირველი. იგი დიდებულ დააბრძანეს ოქროს სევანზე იქვე ამართულ ჩარბაზში. მის უკან დასხდნენ შაპის ტურთა არიფნი და კარისკაცნი.

მცირე ხანიც — და შორით გამოჩნდა ცხენებზედმთელ შავი ტახტრეცანი. მასზე დაიოქლი იდგა თეთრად მოსილი, სათნო, დიდი სახის ივერიის ასული. შავი თმის ორი გრძელი ნაწუნავი ჰკოცნიდა მიწას. ქალს აელმართა თვანი ზეცად. მისთვის გამქრალყო ამსოფლიური მოვლენანი... ვინ იყო ეს ადამიანი? — ეს იყო გმირი ქართველი დედა, ქეთევან დედოფალი...

ხალხში შეიქნა ჩოქროლი, ხმაური... ამ უჩვეულო სანახაობამ მიიპყრო ყველას გულისყური...

აჰა, გაჩერდა ტახტრეცანი შუა მოედანზე, წამების ამბოხთან. ჯალათის ტლაქი, ბანჯგვლიანი ხელები შეეხო სპეტაკ არსებას. იგი გადმოსვეს და აიყვანეს წამების ამბოხნივე. აქვე იყვნენ და ამ საზარო სურათს მწერდნენ რომის მისიონარი და პაპის ლეგატი, აპეტრო დედოფალე. აქვე იყვნენ ადრევე ტყვედ წამოყვანილი ივერნი. ისინი იდგნენ მღუბარედ და ცრემლიდ ივროდნენ.

აქვე იყვნენ ირანის მოღებნი და მათი უფროსი მუფტი, გოძელწვერა ბრვე მოხუცი თერიო ჩალით, და თეთო ხალათში გახვეული. იგი წამოადგა დინჯად, მიუხალდავდა ქეთევანს და მიმართა ამ სიტყვებით:

— კახეთის დედოფალი! დიდმა ალაჰმა უწყის, რომ არც დიდებულ შაპს, არც ირანის ხალხს არ სწოდით შენი წამება, არ სურთ დაიღვაროს ამ ამბოხნი შენი სისხლი. ყველას სურვილია უარპყო ჯვარცმულის თავყენება და იწამო ჩვენი დიდი ფეხბამბირი მამაი, იკურთხოს ხსენება მისი! მაშინ ირანის დიდებულნი ბატონის შაპ-აბაზ დიდის ბრძანებით შენ დაბრუნებულ ივერიაში დიდი პატივით, უამრავი ჩვენი და ლართი აღსასვე. დედოფალი! ისინი ეს ჩვენი გონიერული რჩევა და ასციდი ამ საშინელ წამებას, რასაც გიკადის შენ დღევანდელი ქვაბი!

— მტარავლნი, ქართველი ერის მოისხარო! არ მეშინია წამებით სიკვდილის! მტარავლო შაპ-აბაზ! შენ გაფლიტე ათასობით კახეთის მკვიდრნი, შენ დაატყვევე უამრავი ქართველი და ვადიოყარე მონებდად ირანსა შინა! შენ მოჰქალ ქართლის მეფე ლუარსაბ, შენ აწამე ჩვენი ბავშვები, — თეიმურაზის ვაჟნი...

რღა და ვაჟი შემდეგ მე, ბედშავი... დაე, მათ შორის მეც; ერთი უღირსი, ვეწამო ბარბაროსთა ხელით... გემო თქვენი მიერ დაპირებულ სიმდიერესა და ფუფუნებას... აჰა, მზადა ვარ საწამელად... გასტოფეთ, მტარავლნი, რომ ქართველს არ აშინებს წამება და სიკვდილი!

თქვა ეს სიტყვები მუფტის პასუხად ქეთევან დედოფალმა და კვლავ მიიპყრო თვალი ზეცას.

გმირი ქეთევან გადასცეს ჯალათს...



გეიზერები

მოიხონოჲჲჲჲჲჲ

გაფორ. ივ. ჯაფოშვილისა

ბუნების მეტად საინტერესო მოვლენას — პერიოდულად ამოფრქვევ ცხელ წყაროებს, გეიზერებს უწოდებენ. გეიზერი წარმოადგენს ცხელი წყლით სავსე აუზს. აუზის კედლები აგებულია კაისიანთან ან კირისაგან და ხშირად მოთავსებულია დაბლა, მომრგვალებულ კონუსში.

გეიზერის აუზში, წყნარ მდგომარეობისას, წყლის მოძრაობა თითქმის შეუმჩნეველია. როცა აუზში წყლის თუთიუხი და დუღილი დაიწყება, ეს წინამორბედი ამოფრქვევისა. ამას მოჰყვება მიწისქვეშა აფეთქების ხმა და წყალი შუილით შადრენად ავარდება ჰაერში (ზოგიერთი შადრენის სიმაღლე 80 მეტრს აღწევს). წყალს ორთქლი მოსდევს, მერე ისევ წყლისა და ორთქლის ახალ-ახალი ნაკადები რამდენიმე წუთს გრძელდება ეს ბობოქარი ამოფრქვევა, შემდეგ კი შადრევანი შეეცრად წყდება და ასე დამშვიდებულ მდგომარეობაში რჩება ახალ ამოფრქვევამდე.

რაში მდგომარეობს გეიზერების მოქმედების მიზეზი? გაზომვებმა ცხადყო, რომ აუზის ფსკერზე წყალი მეტად გამთბარია, ვინემ აუზის ზედა ფენებში. ასე მაგალითად, როცა ზედაპირზე ტემპერატურა 80°-მდეა, მაშინ ფსკერზე 127°-ს აღწევს. წყალი თუ არ დუღს ასეთი მაღალი ტემპერატურის დროს¹⁾, ეს გამოწვეულია წყლის სვეტის (20-25 მეტრი) ძლიერი წნევით. მაგრამ ვანახლავრული დროის შემდეგ სითბო აუზის ფსკერიდან ზედა ფენებში გადაეცემა. აუზის ზედა ფენებში წყლის სვეტის წნევა ნაკლებია, ამიტომ მის ზედა ფენებში 100°-ზე მეტად გამთბარი წყალი შუილით ამოქუხს ზევით და ამოისფრის მის თავზე მდგარ წყლის მთელ სვეტს. ასე წარმოიშობა ეს შუილა შადრევენები.

აუზის ზედაფენების წყლის გათბობა დამოკიდებულია აუზის სიდიდეზე, ამიტომ სხვადასხვა გეიზერებში ამოფრქვევის პერიოდები სხვადასხვაა.


გეიზერები ღიდი რაოდენობითაა კუნძულ ისლანდიაზე, ახალი ზელანდიის კუნძულზე და იელოუსტონის ნაციონალურ პარკში (ჩრ. ამერიკაში).

ყველა ამ ადგილებში, სადაც დღეს გეიზერებს ვხვდებით, ოდნელაც ვულკანები მოქმედებდნენ, რომლებიც დიდი ხანია ჩაქრნენ და ლავას²⁾ აღარ ანთხევენ. მაგრამ ძველად ამოხეთქილი ლავა მიწის შიგნითში ინარჩუნებს სიმზურავალეს, რომელიც მიწის უღრმეს წიაღიდან გამოიყოლა. სწორედ ეს ძველად ამოხეთქილი ლავის სითბო კვებავს მიწისქვეშა წყლებს და აძლევს დასაბამს გეიზერებს.

გაიელის მრავალი ათასი წელძ და დედამიწა იმდენად ცივი იქნება, რომ ბოლო მოეღება გეიზერების მოქმედებას.

¹⁾ წყლის დუღილის ტემპერატურა 100°-ს უდრის C-ით.

²⁾ ლავა — ვულკანური მოქმედების დროს ამონახეთქი მასა.



სტრიქონები ავთობოდელოსტის. დღიურიდან.

1.

ოხ, რა ლამაზი ხარ, ამწვანებულო აქარავ, სურნელოვან და მიმზიდველ ბაღებში ჩაფლულო, ცის ამწვდომი კვიპაროსებით, თეთრი, მოქათქათე მავნაოლებით და ოქროსფერი მიმოზებით შორთულო!

სამზრეთის რბილი ჰავა, ციტრუსების ანდამატი და შავი ზღვის ნელი სიო—ყველაფერა ეს შეზავებულია. არა! არა! ტყუილად კი არ გეძახიან საბჭოთა ფლორიდას, ციტრუსებით აზურმუხტებულო მხარვეს! მერე და რა ლამაზი ხარ საღამოობით, ზაფხულში, როდესაც ბადრი მთვარე აშუქებს შენს კალთებს და ყოველივე ამას ზღაპრულ სანახაობად ხდის!

სწორედ ასეთივე საღამო იყო. ავიომოდელისტთა ლაბორატორიის ღია კარებში თავისუფლად შემოიქროლებდა დროგამოშვებით ზღვის სიო. პატარა მავიდასთან რამდენიმე ბიჭი იჯდა. ელნათურის შეჭმე მოდელების ნაწილებს ქაღალდებში ახვევდნენ.

— ხვალ ქალაქკარეთ მივდივართ, მორიგი საქალაქო შეჯიბრებაა. ამ შეჯიბრებაში გამოცდილი მოდელისტებიც იღებენ მონაწილეობას.

ვთუ დავმარცხდები? გამიელვა თავში, მაგრამ ფიქრი ვილაცამ შემაწყვეტინა.

— სერგო, შეხედე, მისამართი დავაწერე! — და ბიჭმა გადაიხარხარა. მას ქალღელდებში გახვეული მოდელისათვის წაეწერა:

„ქალაქი კახაბერი, წისქვილის ქუჩა, მაღალ მთას“.

ამ ირონიულ წარწერაზე ბევრმა იცინა. გვათავთე ყველაფერი და მხიარულად დავიშალეთ...

იქიდან პირდაპირ ზღვის სანაპირო ბაღში წავიდი. დღანას ვიჯექი და ვფიქ-



რობდი ხვალინდელ დღეზე. ბოლოს მომწყინდა და მარტოდმარტო გავეშურე შინსაცენ. ბაღში აუარებელი ხალხი იყო, მუსიკა უკრავდა. მივდიოდი და მივეჩერებოდი ცის თაღს, სადაც ბადრი მთვარე მარგალიტით კიაფობდა...

2.

ღილით აღერ მივედი ბავშვთა ტექნიკურ სადგურში, ვიფიქრე, სულყველას მივასწარ მეთქი, მაგრამ მოგტყუვდი: კარები იღა და მხვდა და ჩემს მეტი სუყველა იქ იყო.

— ბიჭოს ეს როგორ, აქ გაათენეთ თუ? — შევევითხე ბიჭებს.

— თუ დამიჯერებ, წუხელის თვალღებულული არ მომკარებია, — შემომჩივლა ერთმა, სხებმა სიცილი დაიწყეს. სწორედ ამ დროს ალაყაფის კარებს მანქანა მოადგა. ბიჭებმა დაავლეს მოდელებს ხელი და აბა ჰე — ვინ-ვის მოასწიერებსო, თითქოს ადგილები არ იყოს. ყველაზე ბოლოს მე ჩავჯექი მანქანაში. სულყველანი ისხდნენ, რალაცაზე ჩურჩულობდნენ, დროგამოშვებით გულანად იცინოდნენ.

— ხომ არავინ გეაკლია? — იცითხა სასმისმა.

— კოტე არ არის, ინსტრუქტორი!

— მამ დაუცადოთ, ბევრს არ გვალოდინებს: ყოჩილი ბიჭია. — ცოტა ხნის შემდეგ მართლა გამოჩნდა კოტე გარმონით ხელში, ის თითქმის მორბოდა.

— მოვიდა, მოვიდა! — დაიძახა ვილაცამ. კოტე უმაღლე მანქანაში გაჩნდა.

— ყველანი არიან, წავიდეთ!

მანქანამ ნიშანი მისცა და დაიძრა. გავედით მოკარწყულ ქუჩაზე. მანქანა გასრიალდა, კოტემ გაწვლა გარმონი, ჩვენ მივქროდი თუა ქუჩაში. გარმონი სამხედრო მარშს უკრავდა. გავლენები ჩვენ გვიცქროდნენ. სამხედრო ჰიმნზე მანქანამ თითქოს სვლას უშტაო. ქარი

წიოდა ყურბეში. მალე ქალაქი უკან მოვიტოვეთ...

3.

ნეტავ იცოდეთ, რა ლამაზად ჩანს არემარე ამ მთიდან.

დასავლეთით ლურჯად მოხასხეს ზღვა, ზღვამდე — ამწვანებულ კახაბრის დაბლობში, რომელზედაც გველივით მიიკლავნება მუდამ ტალახიანი კოროხი; ის ამ დაბლობზე მოქებს და მოტოკავს. შავი ზღვის სიოა ქრის განუწყვეტილ და აბიზინებს ამწვანებულ ბოლახს...

ბიჭებმა მოდლები დააწყეს. აი გაცურდა ზურაბის პლანერი ქარის მიმართულებით, ის ზანტად და ლამაზად მიფრინავს. შესცქერის მას ახალგაზრდა კონსტრუქტორი ზურაბი სულის მოუთქმელად. უცქერის და აი მოდელმა დაშვება იწყო, დაჯდა კიდეც, ზურაბი გარბის, ახტება თხრილებს, ბუჩქებს, ახარებს ზურაბს მისი მოდელის ვამარჯვება.

ასე გადის დრო. ერთი-მეორეზე მიფრინავენ პლანერები. ქარი მაინც არ ჩერდება. აი ახლა მეც გავფრევბ ჩემს თვითმფრინავის მოდელს, სანამდე უნდა ვუცადო?

ავაწვე მოდელი, ვავედი გასაშვებად აქამდის მხოლოდ პლანერების მოდლებს უშვებდნენ, თვითმფრინავის მოდელი მხოლოდ მე მაქვს, ამიტომ ყველა შე შემომესია.

უქანასკნელად გადაეატრიალე ხრახნი. მოტორი მომართულია, ინსტრუქტორმა წუთმზომი მომიზარება. ერთიც და... დაიხრიალა ხრახნმა, მოდელის წინ განჩნდა თეთრი მოლაპლაპე წრი. მიუხედავად მაგარი ქარისა, მოდელი სულ მაღლა და



მაღლა მიიწვედა. აი მაილწაა უმაღლეს წერტილს, ხრახნის ზუილი ისმოდა, კიდე რამდენიმე წამი და მოტორი გაქცა: „საწვავი მასალა“ გამთვალავი წყვეტილი გაჩერებული ხრახნით ვაპყვა პერის ნაკადს, ის უხმოდ მიფრინავდა და თანდათან ეშვებოდა დაბლა. „ნეტავი სულ ასე იფრინოს, მაშინ საკავშირო რეკორდი ჩემი იქნება!“ — ვფიქრობ და არ ვაცილებ თვალს. მოდელმა მოუხვია, ახლა ჩვენკენ მოფრინავს. მიწასთან სრულიად ახლოს მოქრის დიდი სისწრაფით, წამიც — და მისი პატარა თვლები შეებო მიწას.

ყველანი მისკენ ვავეციქვით. ის მდელის მწვანე ფონზე ამაყად გამოიყურებოდა, და ან როგორ არ იამაყოს: მან ხომ პაერში 46 წამი დაძყო!

— როგორ? 46 წამი იფრინა და კიდე აქებენ?

— მართალია, 46 წამი არც თუ ისე დიდია, მაგრამ ეს ხომ არც „თვითმფრინავი“, მისთვის წამები საათები და წუთები კი კვირები.

სალამო. ჩვენი მანქანა ქალაქისკენ მიქრის, თან მიგვაქვს სიხარული და გამარჯვება ნორჩი მოდელისტებისა. ვზივრ და ვფიქრობ დღევანდელ დღეზე: „მომავალში უფრო კარგს გავაკეთებ. დღეს თუ 46 წამი იფრინა, შემდეგ ორჯერ მეტს იფრინს“ — ვფიქრობ და გაცქერით მთას, რომელიც შემოიფრინა ჩემმა მოდელმა. მიქრის მანქანა, უკან რჩება მთაც და ბუჩქებიც, მღვრიე ქოროხი და მწვანე დაბლობიც.

ბიოწერი ს. მგელაძე

ქ. ბათუმი, I სკოლა, მე-8 კლასის მოსწავლე.

ჩ ე ლ ა ქ ი ი ს ი ს ა გ ა ნ

ჩვენი ნორჩი პოეტებისაგან ყოველდღიურად ვეგბულობთ ლექსებს. ბევრი ლექსი მართლაც კარგია და მოსაწონი. განსაკუთრებით უქანასკნელ დროს ნორჩმა პოეტებმა მშვენიერი ლექსები გამოგიგზავნეს. სამი მათგანი დაიბეჭდება ამ ნომერში, მაგრამ ყველას კი ვერ ვათავებთ. ასე, მაგალითად, უადგილობის გამო ვერ იბეჭდება თბილისის მე-18 სკოლის მე-4 კლასის მოწაფის გურამ ასათიანის, სიღნაღის პედსასწავლებლის მოსწაფის ირაკლი გოგილაშვილის, თბილისის მე-2 სრული საშუალო სკო-

ლის მოსწავლის ვახტანგ კეკელიძის, თბილისის მე-4 სრული საშუალო სკოლის მოსწავლის ავთანდილ შიშინაშვილის, სიღნაღის არასრული საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის როლანდ ბერიძისა და სხვების კარგი ლექსები.

მაგრამ ეს არაა საკმარისი, ჩვენმა ნორჩმა მკითხველებმა სისტემატურად უნდა მოგვაწოდონ არა მარტო ლექსები, არამედ მოთხრობებიც, ნარკვევებიც, ზღაპრებიც, ნახატებიც და გასართობებიც.

ქედის წერილი



თეთრფინელებთან მებრძოლ შვილს

დედას შვილი საიმედო
წითელ ჯარში ჰყავდა,
შვილი ბექებგანერი
რკინის ლომკაცს ჰყავდა.

მისი ბრძოლა გაზეთებმა
საბჭოეთს რომ ამცნეს,
შვილს წერილი გაუგზავნა
დედამ მაშინ ასე:

„შვილო, გაათავისუფლე
შენ ფინელი ძმები,
ჩაგრულები გაახარე,
არ დაინდო მტერი,

სამშობლოსთვის მხნედ მებრძოლი
გმირად მოკვდი, შვილო,
სამშობლოსთვის შესაწირად
დედის გამოზრდილი!

სამშობლოსთვის, სტალინისთვის
ისახლე თავი,
იყვე მუდამ ბედნიერი,
საყვარელო დავით!“

შვილი იბრძვის არმიაში
ისევ გმირულად,
მუსრავს მტერს და ამით ხარობს
ბედნიერი დედა.

ზურაბ ჭუმბურიძე

ქუთაისის რაიონი, სოფ. ქვემო-სიმონეთი, მე-7 კლასის მოსწავლე.



გაზაფხულდა, გაახილეს
თვალი რძისფერად ენძელებმა,
გაველ ველად და შინ მისვლა
მეძნელება, მეძნელება.
გაველ ველად, ლურჯთვალეობა
ბუნების რომ ვუთხრა კება,
ბარად თოვლი აღარსად ჩანს
და შუბლმაღალ მთებზეც კრება.
ვიშ, რძისფერი ყვავილები
დაფენიან ნუშს და ტყემალს,
ღვივის მიწა, გაიდევსა
ნაკიდულს ხმაზე ტყემაც.

ღვივის მიწა, ღვივის გული,
სიო მირწევეს გრძნობის აკვანს,
ვიშ, რძისფერი ყვავილები
გაზაფხულის სივალ გზა-კვალს
დაეფინენ და ბუნების
ფერხულს ლხენით გულიც აჰყვა.
გაზაფხულდა, გაახილეს
თვალი რძისფერად ენძელებმა,
გაველ ველად და შინ მისვლა
მეძნელება, მეძნელება.

მურმან ლეზანიძე.



თბილისი, მე-3 სრული საშუალო სკოლა.



პიონერი

ხამ, ალქ მენტარაღური კომითბინისა ღა
ხამ, ზანხაქომის მკთითმითხი ჟუანხალი

მ ა რ ტ ი 1940 წ. № 3

„ПИОНЕРИ“ журнал „Центрального“ Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии

გამომცემლობა „კომუნისტო“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—51.

შინაახსი

- 1. ვიანგისლაზ მინილინისა მოლოტოვი, — მოკლე ბიოგრაფია 83-1
- 2. როლიონ შოკშია, — თავდადება (მოთხრობა) 3
- 3. ვაკლავ შუკაღი, — მეზღვაური (ლექსი) 5
- 4. თურმან ზანზიანოვი, — მეგობრები (მოთხრობა) 6
- 5. ზ. ვალკოვი, — ჩივილი (მოთხრობა თარგმანი ანი-სა) 9
- 6. სიმონ შვაკიანი, — ჭართველი დედა ქეთევანი (ისტორიული ნარკვევი) 11
- 7. თილიკოს კაქილიძე, — გეიბერები (წერილი) 13

ნოჩ აბტოსთა ზემოქმედება

- 8. ს. მშალაქი, — სტრიქონები ავიომოდელისტის დიურიდან (ნარკვევი) 14
- 9. ზურაბ ზუმბურიძე, — დევის წერილი (ლექსი) 16
- 10. მურმან ლეზანიძე, — რისიფერი ყვავილები (ლექსი) 16
- 11. ნაზიკო კილახიანი, — გაზაფხულის თაიფული (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.
 ბასასტოზი
- 12. ნუ ამბობ „მომეცე“, — (ყბარღოული ზღაპარი) . . . გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყლის მზარტობა გეგუთენის მზატე. თ. ჭოქიაშვილს.

ბასუსისმგებალი რედაქტორი—ან. დულაკიძე

ბასუსისმგებელი მდივანი—ნ. სიხრილაძე

გადაცეა წარმოებას 8/III 1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეტდლ 7/IV 1940 წ.

ქელაღდის ზომა 62X92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₂X14

რედაქცია

ნუ ამბობთ „მომეცი“

(ყაბარდოული ზღაპარი)

ერთმა გლეხმა დაინახა, რომ მოლა მდინარეში იხრჩობოდა. მან მაშინვე მიიღბინა მდინარის ნაპირას, გაუწოდა ხელი მოლას და შესძახა:

— მოლა, მომეცი ხელი, ჩქარა მომეცი!

მოლა ნაპირთან იყო, ადვილად შეეძლო გაეწოდებინა ხელი გლეხისათვის და თავი ეხსნა, მაგრამ გაიგონა თუ არა გლეხის სიტყვები, მთელი ძაღლონით გაცურა ნაპირიდან სიღრმისაკენ.



მოლას ეს მოქმედება კარგად დაინახა მდინარის მოშორებით მყოფმა მეორე გლეხმა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და მხიარული სიცილით დაუძახა მაშველ გლეხს:

— ეი, სულელო, ნუ ეუბნები მომეციო, ხომ იცი, მოლა არასოდეს არავის არაფერს არ აძლევს, ის მხოლოდ ართმევს სხევებს. მაგას უთხარი აჰა-თქო, თორემ ეგ თავის ძუნწობით თავს დაიხრჩობს.



მაშველმა გლეხმა კვლავ გაუწოდა ხელი ნაპირიდან შორს წასულ მოლას და თან ეს დაუძახა:

აჰა, აჰა, მოლა, აჰა-მეთქი!

მოლამ მაშველი გლეხის ეს უკანასკნელი სიტყვები სწრაფად შეისმინა, მთელი ძაღლონით გამოცურა ნაპირისაკენ და ხარბად გაუწოდა მას ორივე ხელი.

მხატვრობა დ. ღ. ი. ს. ა.